

პაატა ჩხეიძე

**რომანის განვითარების ზოგიერთი ასპექტისათვის მეოცე საუკუნეში და
ოცდამეერთე საუკუნის კრიზისი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

არისტოტელე ამბობდა, რომ ასახვა ხდება მოქმედებს საშუალებით . . . და ტრაგედია (ზოგადად თხზული პ. ჩ.) არის ასახვა არა ადამიანთა, არამედ მოქმედებისა. ამრიგად, არისტოტელე ლიტერატურულ თხზულში პირველ ადგილზე ამბავსა და მოქმედებას აყენებს. თუმცა ევროპული თხზულის განვითარების გრძელ გზაზე ამბავი, მოქმედება ყოველთვის არ იყო პრიორიტეტი და დიდი მწერლები ხშირად განსჯასა და აღწერას ამჯობინებდნენ.

ინგლისური პროზაული თხზულის ანუ რომანის, თუ რომანის ანუ სარაინდო-სატრუიალო რომანის განვითარების ჩასახვა-განვითარების დროიდან მოვეყვებით, დავინახავთ, რომ თხრობისას მოქმედება ჭარბობს და ასე გადმოდის მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც დანიელ დეფო და ჯონათან სვიფტი გამოდიან ასპარეზზე. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეშივე ჩნდება ახალი რომანი, სენტიმენტალური, პერსონალური, გრძნობათა და განცდათა აღწერა, რასაც სემუელ რიჩარდსონმა დაუდო სათავე და მრავალი მიმბაძველიც გაიჩინა.

სემუელ რიჩარდსონის სიახლე და პოპულარობა სახიფათოდ მიიჩნია ჰენრი ფილდინგმა რომანის განვითარებისათვის და სათავე დაუდო არა თუ, მხოლოდ ინგლისურ ახალ რომანს, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაშიც მოახდინა გავლენა რომანის განვითარებაზე. რომანში აქტიური, მოქმედი,

წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე გმირი შემოიყვანა და არც სენტიმენტალური გრძნობები დაეინწყებია.

ჰენრი ფილდინგს უოლტერ სკოტი მოყვა. მისი ისტორიული რომანები უსაზღვროდ პოპულარული იყო მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში და ისიც უნდა ითქვას, რომ დღესაც არ დაუკარგავს მიზიდულობის ძალა.

ჯეინ ოსტინის რომანებში გმირი ნაკლებად ექსპანსიური და ენერგიულია და უფრო განსჯისა და განცდისაკენ გადაიხრება, თუმცა ინგლისის პროვინციული საზოგადოების, ჯენტრის - რომლის ცხოვრებასაც ჯეინ ოსტინი აღწერს - საოჯახო და საქორწინო ამბები, აღვსილია შემძვრელი და თავშესაქცევი ადამიანური ისტორიებით.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისურ რომანს აქტიური და მოქმედი გმირები ჰყავს. დიკენსისა და თეკერეის რომანების გმირთა ფათერაკები და ყოფა-ცხოვრების ჩახლართული პერიპეტეიები ცხადი დასტურია იმისა, რომ ვიქტორიანული ეპოქის მწერლობა ფილდინგის გზას აგრძელებს და გმირის ხასიათსა და სოციალურ პოზიციას მისსავე აქტიურ ქმედება-საქმიანობაში ასახავს.

იგივე გზას მისდევს ჯორჯ ელიოტიც, თუმცა მის შემოქმედებაში მძლავრად იჭრება პოზიტივისტური ტენდენციები და პროვინციული ცხოვრების კრიზისსა და რღვევას გვიჩვენებს, რასაც არა მარტო ახალი ცხოვრების მოძალების, არამედ სოფელში/ქალაქში უცხო პირის გამოჩენა იწვევს.

ჯეიმზ ჯოისმა შემოქმედება ამბითა და მოქმედებით დაიწყო, რითაც ერთის მხრივ იმპრესიონისტებს შეეხმიანა და მეორე მხრივ მკითხველს გაუშინაურდა. შემდგომ იყო „ხელოვანის პორტრეტი“, სადაც არჩეული გზაც გააგრძელა და მოლოდინიც აღძრა ინტელექტუალი მკითხველის გულში. ამას მოჰყვა „ულისე“, სადაც განსჯა და აღწერა ბევრად სჭარბობს მოქმედებას. ამით, მაღალი

მოდერნიზმის მეტრმა მალლიდან გადმოხედა მკითხველს და შესთავაზა, შენც ამოდიო. და მერე იყო „ლამისთევა ფინეგანისათვის“, თხზული, როგორც გამოცანა, გამოწვევა, გზავნილი მომავლისაკენ თუ იქვე დარჩენა ჯოისთან და არსად წასვლა თუ ჯოისის ბადალი ინტელექტუალი მკითხველი არ გამოჩნდებოდა და ხელში არ აიღებდა ამ მძიმე წიგნს.

უილიამ ფოლკნერმაც ამბითა და მოქმედებით დაიწყო („სარტორისი“), მაგრამ - რაკი იგიც მალალი მოდერნიზმის წინამძღოლი იყო - „ხმაურსა და მძვინვარებაში“, გაუძნელა მკითხველს მასთან მისვლა. ასეც გავრძელდა მის შემოქმედებაში, მაგრამ ამბავი და მოქმედება არასოდეს დავიწყებია და არც უკან გადაუწევიან. პირიქით, მის რომანებში მკაფიოდ იკვეთება პროტაგონისტის პორტრეტი და სიუჟეტის მისი მოქმედების მიხედვით ვითარდება.

საით წავიდოდა ევროპული რომანი „ფინეგანის“ გზით რომ წასულიყო?

- ერთი მხრივ, მწერალთა რიცხვი შემცირდებოდა უკიდურესობამდე და მეორე მხრივ მკითხველი გაქრებოდა, თითქმის გაქრებოდა. ოცდამეერთე საუკუნემ დემოკრატიული მწერლობა ამჯობინა. თუმცა არის საგულისხმო მცდელობანი ისტორიულ და სამეცნიერო თხზულში, მაგრამ დიდი მწერლობა აღარ ჩანს, პაპსა მბრძანებლობს.

* * *

2020 ანუ როგორც იტყვიან, ოცი-ოცი წელი, იმითაც იყო გამორჩეული ქართული ლიტერატურისათვის, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ და შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, გამოსცეს მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატური უდიდესი გამოცანა, ჯეიმზ ჯოისის, „ლამისთევა ფინეგანისათვის“, პირველი წიგნი. ქართული ლიტერატურისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი აღასრულეს: მთარგმნელმა

თამარ გელაშვილმა, ანოტაციების მთარგმნელმა, თათია სიბაშვილმა, რედაქტორმა მანანა გელაშვილმა, რეცენზენტმა დავით მაზიაშვილმა, შპს „პრინტჯეომ“ და დიზაინერმა ნინო ერისთავმა. არავინ არ უნდა გამომრჩეს, რადგან ეს მართლაც დიდი საქმეა.

და, რა თქმა უნდა, უჩუმრად ჩაიარა; მქირდავები კი გამოუჩნდნენ, რაო, ოცდაექვსი ენა იცის მთარგმნელმაო?!

და, რა თქმა უნდა, ბევრი არავინ წაიკითხავს; არც ინგლისურ ორიგინალს არ კითხულობენ მილიონები, რადგან ეს არ არის საკითხავი და გასაგები წიგნი. მაგრამ დიდი კულტურული მოვლენაა მსოფლიოსათვის და ქართულადაც გადმოიტანეს.

რაც იყო იგივე ხდება, ისტორია მეორდება და განმეორდა 170 წლის მერე.

არ გავიხსენებ თუ რომან „ტრისტრამ შენდის“ რომელ თავში დაიბადება პერსონაჟი ტრისტრამ შენდი, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ 1769 წელს, დაწყებიდან ათი წლის თავზე, დაასრულა ლორენს სტერნმა თავისი რომანი. ათი წელი ცხოვრობდა თავის პერსონაჟებთან ერთად, მათ ყოფას იზიარებდა, უსმენდა და ესაუბრებოდა.

1939 წელს, დაწყებიდან ჩვიდმეტი წლის თავზე დაასრულა ჯეიმზ ჯოისმა თავისი, „ლამისთევა ფინეგანისათვის.“ და ეს ჩვიდმეტი წელი სიზმარეულ სამყაროში გაატარა.

ორივე თხზული ექსპერიმენტულია, ორივემ დიდი ხმაური გამოიწვია გამოქვეყნებისთანავე და არც ერთს არ ჰყოლია და არცა ჰყავს ბევრი მკთხველი. ორივე კომიკური თხზულია, თუკი ერთმანეთს შევადარებთ, თუმცა „ტრისტრამი“ გაცილებით იოლი საკითხავი, თავშესაქცევი და გასაგებია, ვიდრე „ლამისთევა.“

„ტრისტრამ შენდის“ კვალზე რომ განვითარებულიყო მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ინგლისური რომანი, ეგებ არ მომკვდარიყო - ხომ ცოცხალია

გერმანული და ფრანგული რომანი - მაგრამ დიდი და, ამავე დროს, მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის საკითხავი წიგნები აღარ დაინერგებოდა. ჰენრი ფილდინგი „ტრისტრამ შენდის“ გამოქვეყნებას ვერ მოესწრო და არ ვიცით რა რეაქცია ექნებოდა; „ჰამელას“ გამოქვეყნებას მოესწრო და გადაარჩინა ჩიხში შესასვლელად განწირული რომანი.

უილიამ ფოლკნერი ამბობდა ჯეიმზ ჯოისი ღვთებრივმა ცეცხლმა დასწვაო; ანუ იმას ვარაუდობდა, რომ დიდმა ნიჭმა მოულო ბოლო და წაუკითხველობისათვის განირა თავისი ჩვიდმეტი წლის ნაშრომი.

ცხადია, საითაც წავიდოდა ინგლისური რომანი „ლამისთევის“ კვალს რომ გაჰყოლოდა, მაგრამ უილიამ ფოლკნერი გამოჩნდა და გადაარჩინა ჩიხში შესასვლელად განწირული ანგლო-ამერიკული თხზული, მაგრამ ეს საკამათო აზრი უკვე სხვა კვლევის თემაა.

არ მახსოვს და არც მიძებნია, სათაურის მერე, ღამე პირველად სადაა ნახსენები ჯეიმზ ჯოისის თხზულში, „ლამისთევა ფინეგანისათვის“, მაგრამ როგორც კი წიგნს გადაშლი, მიხვდები, რომ საქმე სიზმართან გაქვს. ძილის ამბავს მოგვითხრობს ჯოისი ანუ სიზმრის ამბავს, არეული, დანანევრებული, მოულოდნელი გადახვევებით აღვსილი სიზმრისა. ამისათვის უნდა მოემზადო და თუ მომზადება არ შეგიძლია არც უნდა შეეცადო წაკითხვას. და თუ მაინც შეეცდები და იმასაც შეეცდები, რომ დეტალებში გაერკვე და ახსნა კიდევ, ნახავ, რომ ამაოდ დაშვრები, რადგან ყოველ დეტალი მრავალშრიანია და მრავალი ახსნა აქვს.

ჯოისს არ უყვარდა ფროიდი, მაგრამ ის ორი ნიშანი კი გამოიყენა სიზმრისა, რაც ფროიდს უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა: **გამკვრივება და ჩანაცვლება**. ფსიქოლოგიისათვის გამკვრივება მაშინ ხდება, როცა ერთ სიმბოლოსა თუ სიტყვაში თავს იყრის იდეების, გრძობების, მოგონებებისა თუ იმპულსების ემოციური შინაარსი; ჩანაცვლება კი დამცავი მექანიზმია, როცა არაცნობიერი გადაცვლის

ემოციებს, აფექტებსა თუ სურვილებს სანყისი ობიექტიდან უფრო მისაღებ და უშუალო შემცვლელზე.

ჯოისი თვლიდა, რომ ადამიანური ყოფის უდიდესი ნაწილი ვერ ეტევა მღვიძარ ენასა, მზა გრამატიკასა და თანამიმდევრულ სიუჟეტში.

მაგრამ თუ „ღამისთევა“ სიზმარია, ის სადღაა, ვისაც ესიზმრება? და რადგან ტექსტი სიზმრიდან არ გამოდის, როგორ უნდა გადმოსცე სიზმრის დეტალები რეალური ადამიანის ცნობიერ ყოფაში, თითქოს გაღვიძებული სიზმარს ყვებოდე? ეს თითქმის იგივეა, კირკეს ეპიზოდის დეტალების გაგებას რომ შეეცადო.

„ღამისთევაში“ სიზმრიდან არ გამოვდივართ, სიზმარს მივყვებით და ვერაფერი გვშველის. თითქოს დანაშაულის გრძნობა გაიფრთხილებს, მაგრამ როგორ უნდა ჰქონდეს მძინარს დანაშაულის გრძნობა და რა მიმართებაშია ეს გრძნობა მძინარის წინა ანუ მღვიძარ ცხოვრებასთან.

ცნობილია, რომ როგორც „ოდისეა“ დაედო საფუძვლად „ულისეს“, ისე „ღამისთევას ფინეგანისათვის“ დაედო საფუძვლად ჯამბატისტა ვიკოს, „ახალი მეცნიერება“ (1725-1744). ვიკო ამტკიცებს, რომ ისტორია ციკლურია და თვითველი ციკლი სამი სხვადასხვა ეპოქისაგან შედგება: ღმერთების ეპოქა, გმირების ეპოქა და ადამიანების ეპოქა; ამას მოსდევს მოკლე გარდამავალი პერიოდი, ricorso (შემობრუნება), რაც შემდგომი ციკლის დაწყებას მოასწავებს.

ჯოისი იგივე გზას აგრძელებს, რასაც „ულისეში“ დაადგა - ჰომეროსის მარადიულ პერსონაჟებს მოუძებნა ფარდნი 1904 წლის დუბლინში და თქვა, რომ ყველა ეპოქა და მასში მცოვხრები ადამიანები ეხმაურებიან ერთმანეთს. ქარგები მუდმივია, მაგრამ ჯოისისათვის ვიკოსი არ იყოს, ისინი ოთციკლიან სტრუქტურაში ექცევიან. ყველა ხალისიანი, მხიარული კომიკური მოვლენა სევდიან, მწუხარე, ტრაგიკულ ამბად ამოტრიალდება; ყველა ვინც მაღლა ავა, ბოლოს აუცილებლად დაეცემა, მაგრამ, ვინც დაეცემა, ბოლოს აუცილებლად წამოდგება.

როგორც აღვნიშნე, ვიკოს თეორია უდევს საფუძვლად ღამისთევას, როგორც თხრობის მხრივ, ისე თავებად დაყოფისას. „ულისესი“ არ იყოს, არც აქაა დანომვრა და სახელდება, გვერდი წყდება და ცარიელი ადგილი რჩება. კრიტიკოსები ნომრავენ და სახელს არქმევენ, რათა განასხვავონ თუ რა ნაწილს განიხილავენ. არსებობს ოთხი დიდი დანაყოფი, I, II, III, IV. პირველ ნაწილში რვა თავია, მეორე და მესამე ნაწილში - ოთხი და მეოთხე ნაწილში - ერთი მოკლე თავი.

ვიკოს ნიმუში მთლიანად წრიულია და ციკლური.

„ღამისთევა“ იწყება შუა წინადადებით და მთავრდება წინადადების დასაწყისით.

ვიკო ამბობდა, თვითეული ეპოქა ჭექა-ქუხილით ცხადდებაო და ჯოისმა გამოაცხო ათი სხვადასხვა, ას ასოიანი სიტყვა ამ ჭექა-ქუხილების სანაცვლოდ:

"bababadalgharaghtakamminarronkonnbronntonnerronntuonnthunntrov arrhounawnskawntoohooorderenthurnuk!" (page 3, lines 15-17).

ბაბაბადალინდქუხიაიიაჰმენფინქუხბერძმმეხიტალგვრგვინვიადილაქქუხპო რტქუხილვარუნანშვედურქუხდანმეხგელმეხ!

ვიკოსეულ ქარგაზე უფრო მეტად, მკითხველს თავსატეხს უჩენს ჯოისის ენა. მან ახალი ენა შექმნა, ინგლისურ ენაზე დაფუძნებული, მაგრამ ამით არ შეზღუდული. „ღამისთევის“ ყოველი სიტყვა, ამავე დროს სხვა სიტყვაა, კალამბურია და თვითეულ სიტყვაში, როგორც ხურჯინში, ჩალაგებულია მნიშვნელობები, გარეგნულად იქნება თუ სმენით, თუ ორივენაირად. ხანდახან ეს მრავალრიცხოვანი მნიშვნელობები ტრივიალურია, ხანაც ღრმა. ყოველ სიტყვას უნდა ჩაულრმავდე და განმარტო, თვალეები ამოიღამო და თავი დაიმძიმო ან გაიხეთქო.

ავია თუ კარგია, „ღამისთევა ფინეგანისათვისაც“, ხურჯინით სათაურია. ის შეიძლება გულისხმობდეს ირლანდიულ-ამერიკულ ჰაბურ სიმღერას, „ფინეგანის ღამისთევა“ (ანუ „ბალადა ტიმ ფინეგანზე“); კაცის, ვინც კიბიდან ჩამოვარდა, სახელად ფინეგანის, გასვენებისათვის გამართულ ღამისთევას. შეიძლება

ნიშნავდეს ყველაფერს ფინეგანის შემდეგ. შეიძლება ნიშნავდეს „ფინეგანმა გაიღვიძას“ ან „ფინმა გაიღვიძა“, ან, რაკი უაპოსტროფოა, „ფინეგანებო გაიღვიძეთ“!

ფინი, იგივე ფინ მაკკოლი ირლანდიური ლეგენდის გმირია, ვისაც დუბლინის ძირში სძინავს და ერთხელაც იქნება გაიღვიძებს. Fin დასასრულსაც ნიშნავს ფრანგულად. და ეს ყველაფერი არაა.

„ლამისთევაში“ სხვა რომანების მსგავსი პერსონაჟები არ შეგხვდებათ. ხალხი ერთმანეთს ერწყმის. ვინ ვინ არის, ვერ გაიგებ, ყველა ვილაცაა და სხვაც. მაგრამ არის პერსონაჟების ჯგუფი, ოჯახი: ქმარი, ცოლი, ტყუპი ვაჟი და ქალიშვილი. მამას ჰქვია ჰამპრი ჩიმპდენ იარვიკერი (ჰჩი), ცოლსა და დედას _ ანა ლივია პლურაბელი (ალპ) (პირველი წიგნის მერვე თავის ჭორაობის საგანი და ლირიკული გმირი). ჰჩი ფლობს და ამუშავებს პაბს დუბლინში, გარეუბან ჩეიპელიზოდში. ალპ-ი ეხმარება ქმარს და ზრდის ბავშვებს. მათი შვილები, შემი და შონი ძალღი და კატასავით არიან. შემს ზოგჯერ სემ მოკალმეს უწოდებენ, (პირველი წიგნის მეშვიდე თავის საგანია.) მწერალი გახლავთ, საიდუმლოთა ამომხსნელი, კერძო პირი, სახელგატეხილი, გამომამბეურებელი დაფარული ამბებისა. შონი (ზოგჯერ უწოდებენ შონ ფოსტალიონს, პირველი წიგნის მთხრობელია) წერილების მიმტანია, საჯარო პირია და აშინებს ყველაფერი, რასაც შემი სჩადის. ძმები გამუდმებით ჩხუბობენ, მაგრამ უნდა მორიგდნენ, რათა მამის გზა გააგრძელონ. ხანდახან იზის, უმცროს დას ეჩხუბებიან. იზი ხან სრული პიროვნებაა, ხან იყოფა შვიდ ნაწილად (ცისარტყელას ფერებივით) და ხან 28 ნაწილად (მთვარის თაზები).

არსებობს საბაზისო სიუჟეტი: ჰჩი, ვისაც აქვს გაურკვეველი პოლიტიკური მისწრაფებანი, რალაცას ჩაიდენს დუბლინის ფენიქს პარკში. ან ორ ახალგაზრდა ქალს დაენახვა შიშველი, ან ისინი დაენახვნენ, ან მოშარდა, ამ მასტურბირებდა მათ წინ, ან უთვალთვალედა როგორ შარდავდნენ; რა ჩაიდინა გაურკვეველია, მაგრამ

სახელი კი შეელახა. ცოლმა უნდა დაიცვას იგი, ხოლო შვილებმა (რომლებმაც იგი და ალპ-ი უნდა შეცვალონ მომავალში) ამ ჭორებით უნდა იცხოვრონ. ბევრი მითქმა-მოთქმა და ჭორი აჰყვა ამ ამბავს და ხალხი ეძებს გასაღებს, რითაც მიიგნება ტყუილ-მართალი.

სხვა ყველა ამბავი ძირითად ნიმუშში იყრის თავს. ძირითადი ნიმუშია, ზეასვლა, ბრალდება და დაცემა, ოღონდ შესაძლო გამართლებით. პარალელური ამბებია: ქრისტე, პარნელი, ფინ მაკკოლი (ვინც ირლანდიური ლეგენდის მიხედვით დუბლინის ქვეშ განისვენებს და ელოდება გამოღვიძებას), ჰამფთი დამფთი (ვინც კელლიდან ჩამოვარდა), ტიმ ფინეგანი (სიმღერიდან).

„ღამისთვის“ მრავალ ეპიზოდში გვხვდება ჭორები და ამბების თხრობა. ამბების ნაწილი შორეულ წარსულს ეხება, ლეგენდებსაც და ნაწილი კი თანამედროვეობას. პირველი წიგნის, მერვე თავში, რომელსაც „ანა ლივია პლურაბელ-ს“ უწოდებენ, ორი მრეცხავი ქალი სარეცხს რეცხავს მდინარე ლიფის გაღმა-გამოღმა და ჭორაობენ ალპ-სა და მის ცხოვრებაზე ჰჩი-სთან. ქალს ისე აღწერენ თითქოს მდინარე იყოს და მდინარე ფართოვდება, დუბლინის ზღვასთან მოხლოებისას, ღამდება და ქალები სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს და ერთმანეთის ხმა აღარ ესმით. ბოლოს ხედ და ქვად გადაიქცევიან. და მერე ჯოისი ჩამოთვლის ხუთასი მდინარის სახელს და სამ გვერდს გაავსებს.

„ღამისთვისა ფინეგანისათვის“ მხიარული, სასაცილო წიგნიაო, გვეუბნებიან კრიტიკოსები, მაგრამ რაღა მხოლოდ კრიტიკოსები მწერლები, ვთქვათ, გვეუბნება ენტონი ბერჯესი: ბოლომდე ვერაფერს გაიგებს, მაგრამ ისეთი ადგილებია, რომ სიტყვისა და ენის მთელ მშვენიერებას შეგაგრძნობინებთო. ასე რომ წაიკითხეთ, ისიამოვნეთ და ნუ იღარდებთ თუკი ყველაფერს ვერ გაიგებთო. როგორც ტიმ ფინეგანის ბალადა გვეუბნება, „კაი ბლომად თავშექცევაა ფინეგანის ღამისთვისას“.

ახლა თარგმანზე!

თამარ გელაშვილი, ასაკით, ჩემი შვილის ხნისაა, მაგრამ არ გადავაჭარბებ თუ მივმართავ, როგორც, - ოსტატს ჩემზე დიდს! მან თავი განირა და მიზანს მიღწია. გვიჩვენა, რომ ამ წიგნის თარგმნა შესაძლებელია.

თარგმანის შეფასებისას, ჩემი აზრით, მხოლოდ სიზუსტის, დედანთან სიახლოვის დადგენა ფუჭი და არაფრისმომცემი შრომაა. მთავარია თუ როგორ წაიკითხავს მას მკითხველი სხვა ენაზე. ქართული თარგმანი, გერონტი ქიქოძისა არ იყოს, ისეთი უნდა იყოს, როგორც დაწერდა ჯოისი, ქართველი რომ ყოფილიყო. და შედარების ჩემეული მეთოდიც ასეთია: - რამდენადაა გაქართულებული ორიგინალის ტექსტი, რამდენადაა დაცული ზომიერება, რამდენადაა გასაგები და მოსაწონი ქართველი მკითხველისათვის.

„ღამისთევა ფინეგანისათვის“ მხიარული წიგნია და ქართველი, უკაცრავად, ელიტარული მკითხველი უნდა გაამხიარულოს, გააცინოს; ოღონდ სხვა არის სიცილი ესე.

ერთი ნიმუში უკვე ვნახეთ.

ახლა ვნახოთ, upturnpikepointandplace:

ნეკარათსაჩვენეშუაცერთითი.

ან, ასეთი ნიმუში:

Drink a sip, drankasup, for he's soonar buy a Guinness than he'd stale store stout.

(დროზე დალიე, გინესის იმედი ნუ გაქვს, მაგრად ინახავს) ამბობს ორიგინალი.

ერთი მონწრუპე, დალიე, თორემ მეტი არაა ჩემი მტერი, სანამ ევ გინესზე დაკპატიუებს ვირი ხეზე გავა. იტყვის თარგმანი.

ესაა ზომიერი გაქართულების ნიმუში, ფიგურალურ გამოთქმას ფიგურალური გამოთქმა ენაცვლება.

მაგრამ მხოლოდ ფიგურალურ გამოთქმებსა, კალამბურებსა და ტროპებს ხომ არ გადაეყრება მთარგმნელი. იგი სრულიად ახალი მოვლენის წინაშე დგას ქართული მთარგმნელობის ისტორიაში. მას გაბედულება მართებს, ყველაფერს ვერ თარგმნის, შეუძლებელია და მხოლოდ ის უნდა თარგმნოს, შეინარჩუნოს, რისი შენარჩუნებაც შესაძლებელია. და მთარგმნელი გაბედულად მოქმედებს, არც უარგონს ერიდება - „გაიჩითა“, „უმულამებს“, არც ბარბარიზმებს, „იასნია“ და ამას ეპატაჟისა და ყურადღების მისაპყრობად კი არ სჩადის, არამედ ცდილობს ძალიან არ ჩამორჩეს ორიგინალის ინტონაციებს.

ვთქვათ,

Thon's flash with his Nixy girls.

როცა ნიქსი გოგოებთან დატრაკუნობს.

ჩამოთვლაშიც ხომ ბადალი არა ჰყავს ჯოისს, აქაც ხომ ირონიას შეურევს ხოლმე და მთარგმნელი აქაც ყოჩაღად მისდევს:

Curtrages and rattlin buttons, nappy spatters and flasks of all nations, claviculars and scapulars, maps, keys and woodpiles of haypeenies and moonled brooches . . .

ვაზნები და არაჩვეულებრივი (ჟღარუნა ხომ არა? პ.ჩ.) ღილეები, საღამური სქელი ჩულქები და ყველაფროვნების მათარა, კლავიკორდები და ბეჭამდე მოსასხამები, რუქები, გასაღები და ნახევარპენსიანი შეშისნაჭრები და მთვარიონანათი ბროშკები.

მთარგმნელმა იცის, რომ ძნელია ეურჩო ჯოისს, მაგრამ არც მონობა შეიძლება და სადაც კი ხედავს საჭიროებას, გაქართულებას ამჯობინებს და კომენტარებშიც აღნიშნავს ასე გადავწყვეტეო.

ასე იქცეოდა ცხოვრებული ნიკო ყიასაშვილიც.

Four things therefore, saith our herodotary MammaLujus, . .

აქ საგულისხმოა ჯოისის მიერ გამოჭედილი სიტყვა, MammaLujus, სადაც ჩალაგებულია, მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე - *მამალუიოებმა*.

ინგლისურს თუ გაჰყვებოდა, *ჯონი უნდა დაენერა, იოანეს ნაცვლად, მაგრამ გაქართულება ამჯობინა, რადგან სახარებისეული იოანე ყოველთვის უნდა ითარგმნოს, თუმცა კი საკუთარი სახელია.*

აღბათ ცუდად ვიქცევით, როცა ერთმანეთსაც ვაშინებთ და სტუდენტებსაც, როცა ვამბობთ, რომ „ლამისთევა ფინეგანისათვის“ წაუკითხავი წიგნია. ძნელად, მაგრამ შეიძლება მისი წაკითხვა თუ დააგემოვნებ, სასაცულოს მიხედვები და აჰყვები ჯოისს და მასთან ერთად ილიღინებ, ფაბულასაც აღმოაჩენ და სიუჟეტსაც გაადევნებ თვალს, პორტრეტებსაც გამოარჩევ და მხატვრულ იდეასაც, ოღონდ შინაარსის მოყოლა გაგიჭირდება.

აი, პორტრეტი! - აბა, რას დაუნუნებთ?

-შემის აღნაგობა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მოიცავს თავჩაქუნვეტიცულეჩო თავის ქალას, ერთ-მერვედზე გახელილ თვალს, ერთ მთლიან ცხვირს, რაღაცას ინახავს გულში ღრმად, ორმოცდაორი ღერი თმა აქვს უგვირგვინო კინკრიხობზე, თვრამეტიც ტუჩს ზევით, სამი ღერი თხაკიკინა წვერიც ჩამოუშვია (ნამდვილად თევზკაცის ვაჟია), მარცხენა მხარი უფრო მაღალი აქვს, ვიდრე მარჯვენა, სმენადაა ქცეული, ხელოვნური ენა ბუნებრივად დახვევია, ფეხზეც ვერ დგას მყარად, ძალიან უცნაური ვინმეა, . . .

და ბოლოს: ჯეიმზ ჯოისმა უდიდესი თხზული დაწერა, მაგრამ ფოლკნერმა გადაარჩინა ინგლისურენოვანი რომანი, იმით, რომ გმირები და მოქმედება შეუნარჩუნა, მაგრამ ამაზე შემდგომ იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოსი, ჯ. 2020. ღამისთევა ფინეგანისათვის, (წიგნი I). თბილისი.
2. Joyce, J. 1975 *Finnegans Wake*, Faber and Faber.
3. *A Shorter Finnegans Wake*, Edited by Antony Burgess. 1967 Viking Press.
4. Fry, N. *Anatomy of Criticism*. 1991. *Four Essays*, Princeton University Press.